ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032511513-03
თარიღი: 25.04.2025 14:38
ვადა: 27.05.2025

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01251151204 განცხადების თარიღი: 25.04.2025
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

ცვლილება დადგენილებაში

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032511513-03
25.04.2025 : 14:38
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01251151204**
თარიღი: **25/04/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა.ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოებში - რაიონის გამგეობებში არსებული საქმის, მათ შორის, მიმდინარე სასამართლო დავების, სპეციფიკიდან და სირთულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის პროცესის უწყვეტობისა და დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სასამართლოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების დავებზე წარმომადგენლობის ფუნქცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდულ საქალაქო სამსახურს.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

პროექტის მიღების მიზანია, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-6 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში (შემდგომში - დებულება), შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) უფლებამოსილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ გაცემული დავალების შემთხვევაში, უზრუნველყოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების - რაიონის გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოებში.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის დებულების:

ა.გ.ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში და მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში, რომლითაც განისაზღვრება, რომ სამსახურის ამოცანა და ძირითადი ფუნქცია იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოში.

ა.გ.ბ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში და განისაზღვრება სასამართლოებთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქცია, რომ სამსახურის უფროსის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე, განახორციელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე

საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის დავალებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოში.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

ინიციატორის მოსაზრებით დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №

2025 წლის

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-6 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 16/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016459) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იურიდიული საქალაქო სამსახურის დებულების“:

ა) მე-2 მუხლის:

ა. ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) თბილისის მერიის, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და თბილისის მთავრობის დავალებით, თბილისის რაიონის გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოში;“;

ა. ბ) მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) თბილისის მერიის, თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა (კომპეტენციის ფარგლებში) და თბილისის მთავრობის დავალებით, თბილისის რაიონის გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოში;“;

ბ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამსახურის უფროსის მიერ გაცემული მინდობილობის საფუძველზე თბილისის მერიისა და თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის, აგრეთვე, თბილისის მთავრობის დავალების შემთხვევაში, თბილისის რაიონის გამგეობების წარმომადგენლობა სასამართლოში;“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**